

კლიმატის
ცვლილებით გამოწვეული
კანონმდებლის
ჩისპის
შემთხვევა

საქართველო ელზინს დაწესებულებებისთვის

თბილისი
2020

საინფორმაციო პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

პუბლიკაციაში შესული ინფორმაცია ასახავს კლიმატის ცვლილებით განპირობებულ შვიდ ძირითად საფრთხეს, რომლებიც განსაკუთრებული რისკის შემცველია საქართველოსთვის - წყალდიდობას, სეტყვას, გვალვას, მენყერს, ძლიერ ქარს, ზვავსა და ღვარცოფს.

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფართომასშტაბიანი ინიციატივის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის დაცვას კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისგან, მათ შორის ზემოთ აღნიშნული საფრთხეებისგან, და საქართველოს 11 მდინარის - ენგურის, ჭოროხი-აჭარისწყლის, სუფსას, ნატანების, ხობის, ვინტრიშის, მტკვრის, არაგვის, ხრამი-ქციას, ალაზნისა და იორის აუზებში ხორციელდება.

ამ შვიდწლიანი პროგრამის შესრულების შედეგად გაიზრდება საქართველოს მოსახლეობის მედეგობა კლიმატური საფრთხეების მიმართ, შემცირდება კლიმატური კატასტროფების ზეგავლენა ინფრასტრუქტურასა და საარსებო გარემოზე, ხოლო 1.7 მილიონი ადამიანი უკეთ იქნება დაცული წყალდიდობისგან, წყალმოვარდნისგან, გვალვისა და სხვა კლიმატური საფრთხისგან.

შვიდწლიანი ინიციატივა „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ ხორციელდება კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), შვედეთისა და საქართველოს მთავრობების დაფინანსებით.

განათლება თავისი სპეციფიკით და არსით უწყვეტი სწავლა-სწავლების პრინციპს ეფუძნება. უწყვეტობის პირველი საფეხური ოჯახი შემდეგ კი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა. სწორედ ამიტომ პროექტის ფარგლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურე პირებისთვის შემუშავდა ერთგვარი საინფორმაციო პუბლიკაცია, საქართველოში კატასტროფების რისკის შემცირების საკითხების ირგვლივ.

წინამდებარე პუბლიკაციის უპირველესი მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გადამცემილების მიმღები პირებისათვის კატასტროფების რისკის შემცირების ირგვლივ საბაზისო ცოდნის მიღება და უნარების გამომუშავება, საკუთარი აღსაზრდელების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

საინფორმაციო პუბლიკაციის მომზადების პროცესში ჩართული პირები:

რუსუდან თევზაძე - პუბლიკაციის ავტორი, პროგრამის ექსპერტი

თეონა ჯულუხაძე - არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი (ASB), პროგრამის კოორდინატორი

ვანო გრიგოლაშვილი - ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG), დირექტორი

მაია შამუგია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „ახალი სკოლის მოდელი“ - გეოგრაფიის მიმართულების კოორდინატორი

თამარ შერვაშიძე - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, პროექტის კოორდინატორი

თამარ გორჯოლაძე - დიზაინერი



საკრებო

პლიმარული მკვლევარ და სექტორული.....	5
ინფორმაციის კონფიდენციალურობა.....	6
ბუნებრივი საზოგადოებით გამოწვეული კავშირგაბმულობის და კონსტრუქციის შეფასება.....	7
კა უნდა ვითარდეს და როგორ მოვიქცეთ საზოგადოების შეფასებაში.....	8
კავშირგაბმულობის მართვის უნარი და ძირითადი მნიშვნელობები	24
აქტივობები.....	28

კლიმატის ცვლილება და საქართველო

დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი, ამ რეალობაში გლობალური პრობლემების როლი და გავლენა ამა თუ იმ ქვეყნის განვითარებაზე არსებითია და უმრავლეს შემთხვევაში არაპოზიტიური კონტექსტით აისახება. სწორედ ასეთი გლობალური პრობლემაა კლიმატის ცვლილება რომელიც შედეგად იწვევს სხვადასხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენის ჩამოყალიბებას და რიგ შემთხვევებში კატასტროფების განვითარებას. ბუნებრივი საფრთხეებით გამომწვეული კატასტროფები აისახება ნეგატიურად ქვეყნებისა და მათი მოსახლეობის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

კლიმატის ცვლილება, ცხადია პროცედურულად ბუნებრივი პროცესია, თუმცა, თითქმის 95%-იანი წილით ის გამომწვეულია ადამიანთა აქტივობით, როგორც ახალი კონცეპტუალური გამომწვევა დაფიქსირდა წინა საუკუნის შუა წლებში, როდესაც გამოიკვეთა მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის არაჯეროვანი და არარელევანტური ზრდა. კლიმატის ცვლილების გარემოზე ზეგავლენის შედეგები გამოიხატება მყინვარების და ყინულის ფენის დნობაში, ოკეანის დონის აწევაში, დატბორვების, წყალდიდობების, ღვარცოფების, მენყერების, ზვავების, ცუნამების, სხვადასხვა ქარიშხლების გაძლიერებასა და გახშირებაში .

კლიმატის ცვლილების შედეგად, იცვლება ბუნება და ეკოსისტემები, იზრდება ადამიანთა დაავადებების რისკი. ნიშანდობლივია, რომ „სათბურის ეფექტით“ გამომწვეული მავნე შედეგების ინტენსივობა ყოველწლიურად მატულობს, რაც კიდევ უფრო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს ხდის პრობლემის მოგვარების აუცილებლობას.

ცხადია, არც საქართველოა გამონაკლისი და კლიმატის ცვლილებებით გამომწვეული არასასურველი შედეგები მტკივნეულად აისახება ჩვენს ქვეყანაზეც.

საქართველო, სპეციფიკური და რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული მოცემულობის გამო, შეიძლება ითქვას, რომ პოლიკლიმატური ქვეყანაა. ამიტომ, კლიმატური ცვლილება ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, უფრო მტკივნეულად მიმდინარეობს, ვიდრე დიდ ქვეყნებში, სადაც იმდენად მცირეა კლიმატური ტიპების ნაირსახეობა, რომ მათ მონოკლიმატური ქვეყნებიც შეიძლება ეწოდოს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კლიმატის ცვლილებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური კეთილდღეობა, თუ გავითვალისწინებთ წყალდიდობებით, ზვავებით, მენყერებით და სხვა კატასტროფებით გამომწვეულ ადამიანთა მსხვერპლს, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად მზარდია. გეოგრაფიულ-ბიოლოგიური პროცესების ხასიათის ინტენსივობა და რაც მთავარია, ადამიანის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (საკვები პროდუქტების წარმოება, ენერჯეტიკის განვითარება, სატრანსპორტო ქსელის განლაგება, მშენებლობა და სხვა) მჭიდროდ არის დაკავშირებული კლიმატის ცვლილებებთან და შესაბამისად ზრდის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ქცევისა და მდგომარეობის სენსიტიურობას და მონყვლადობას.

ნიშანდობლივია, გარკვეული პროგნოზი, რომ 2050 წლისთვის, კლიმატის ცვლილებიდან გამომდინარე, საქართველოში ტემპერატურის საშუალო მატება იქნება 0.9-1.9 გრადუსით, ხოლო 2100 წლისთვის შესაძლებელია მატება 5.5 ცელსიუს გრადუსით. ასევე მოიმატებს სითბური ტალღების სიხშირე და რაოდენობა, შეიცვლება ნალექიანობის რეჟიმი, ინტენსიური გახდება გაუდაბნობა, რაც გამოიწვევს მინის რესურსების მიღწევად რეჟიმში გადასვლას, აიწვევს ზღვის დონე, გახშირდება სხვადასხვა სტიქიური მოვლენები და მოიმატებს კატასტროფების რისკის რაოდენობა თუ მასშტაბი.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო წლებში საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა სხვადასხვა კატასტროფის სიხშირე და გავრცელების გეოგრაფია.

კიდევ ერთი ძალზედ საყურადღებო გზავნილი გახლავთ, კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება, რომლის თანახმად აღმოსავლეთ საქართველოში საგრძობლად მოიმატებს გვალვების სიხშირე და ხანგრძლივობა, რაც წყალზე მოთხოვნის გაზრდის არსებითი წინაპირობაა. პარალელურად მოსალოდნელია დასავლეთ საქართველოში მდინარეების წყლის რესურსის კლება, განსაკუთრებით ე.წ. ტრანზიტულ მდინარეებზე, როგორცაა: მტკვარი, ალაზანი და ხრამი. მაგალითად, მტკვარში წყლის დონის კლება გამოიხატება 26-35 პროცენტით.


მნიშვნელოვანია, რომ 2100 წლისთვის აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო მიწების ხელოვნური მორწყვის საჭიროება.

უპირველესი აუცილებლობაა, კლიმატის ცვლილების გარდაუვალი მოცემულობის შესაბამისად განხორციელდეს ადაპტირებული მატერიალური თუ არამატერიალური აქტივობები ადგილობრივი მოსახლეობისა და სამიზნე აუდიტორიების ჩართულობით, მათ შორის საგანმანათლებლო დანერგულებების.

სწორედ განათლება და ცნობიერებაა ის ე.წ. არამატერიალური ანუ ინტელექტუალური აქტივი, რომელიც შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია პრობლემის მოგვარების პირველ ეტაპზე.

ისგორიუდი კონგაქსი

ვახუშტი ბაგრატიონმა, დიდმა გეოგრაფმა და ისტორიკოსმა, პირველმა აღწერა და შეაფასა საქართველოს კომპლექსური კლიმატი. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დახასიათებული საქართველოს ბუნება ყველა კომპონენტით და მათ შორის კლიმატითაც აღწერილია დაახლოებით 300 წლის წინ.




მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის კლიმატზე ინსტრუმენტული დაკვირვება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, ეს პროცესები ევროპაშიც კი არ მიმდინარეობდა, საქართველოში კი 1844 წლიდან დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ კლიმატზე დაკვირვების ტექნიკური აღჭურვილობა არ მოიპოვებოდა, ვახუშტიმ მოახერხა საქართველოს ჰავის მაქსიმალურ სიზუსტემდე დახასიათება. დახასიათების საფუძველი სენსორული მეთოდი გახლდათ, ანუ შეგრძნებების და პირადი შთაბეჭდილებების მიხედვით. რუსეთში მყოფმა ვახუშტი ბაგრატიონმა 1742 წელს შეძლო საქართველოს კლიმატის ფაქტობრივი მასალებისა და პირადი დაკვირვების საფუძველზე დაეხასიათებინა საქართველოს კომპლექსური კლიმატი, რომელიც აისახა

კიდევ მის ნაშრომში - „საქართველოს გეოგრაფია“. საინტერესოა ის ტერმინოლოგია, რასაც ვახუშტი იყენებს საქართველოს კლიმატის დახასიათების დროს: „გაუსაძლისი“; „კეთილი“ „მშვენი“; „უმშვენი“; „ცხელი“; „აგარაკოვანი“; „მხიარული“; „გრილი“; „წვიმიანი“; „დიდთოვლიანი“. მან პირველმა მოგვცა საქართველოს მრავალფეროვანი ჰავის ჰოლისტიკური დახასიათება, რომელიც საფუძველად დაედო ქვეყნის რეგიონულ კლიმატოლოგიას და დღევანდელ დღემდე მოიტანა მისი მეცნიერული განვითარება. ადამიანის მხრიდან გარემოზე განხორციელებული არარაციონალური ქმედებები, რომელიც მატერიალური კეთილდღეობის გარანტიაა, მეორე მხრივ იწვევს არსებით და რაც მთავარია, ადამიანისთვის არასასურველ ცვლილებებს გარემოზე, რომელიც ნეგატიური პროცესების განვითარებას უწყობს ხელს. ეს კი თავისთავად ჯაჭვური რეაქციით ანგრევს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებს.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ დედამიწაზე გახშირებული ბუნებრივი საფრთხეებით გამომწვეული კატასტროფების უმთავრესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი გახლავთ კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილება, რომელსაც ჩვეულებისამებრ დეკადები ან უფრო ხანგრძლივი დრო სჭირდება.

ბუნებრივი საუკთხეებით გამოწვეული კატასტროფები და ჩისკის შემცირება



კატასტროფების რისკის შემცირებისათვის მნიშვნელოვანია მათი ჯეროვანი მართვა, რაც საჭიროებს პირველადი მნიშვნელობის საკითხების ცოდნას.

ქვემოთ მოცემულია კომპონენტების ის ძირითადი ჩამონათვალი, რომელთა ერთობლიობაც დაწესებულების უსაფრთხო გარემოს გარანტია.

- ზოგადი ცოდნა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისა და თქვენი მხრიდან ქცევითი მოქმედების წესების შესახებ
- განგაშის ხმოვანი სიგნალი
- საევაკუაციო გეგმა და შესაბამისი გადაადგილების გზები
- ევაკუაციის შემდეგ არსებული უსაფრთხო სივრცე
- ამ საკითხების ირგვლივ პერმანენტული საუბრები კოლეგებთან, შესაძლებლობის შემთხვევაში პრაქტიკული სიმულაციური ევაკუაცია, ან სამაგიდო თამაში

ჩა უნდა ვიცოდეთ და ჩობორ მოვიქცეთ საუკითხეების შემთხვევაში

წყალდიდობა

წყალდიდობა არის მდინარის მიერ მუდმივი კალაპოტის დატოვება, გადმოსვლა და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვა, ხოლო ამ შედეგის მიზეზი სეზონური ძლიერი და ინტენსიური წვიმებით გამოწვეული უხვი ნალექი და თოვლის დნობაა.

საქართველოში თითქმის 26 000 მდინარეა, მათი უმრავლესობა სათავეს კავკასიონის მთებში იღებს. მდინარეების უმრავლესობას გაზაფხულის წყალდიდობა ახასიათებს. მაგალითად, მდინარე რიონის აუზი ყველაზე მონყვლადია წყალდიდობის რისკის მიმართ, ასევე მდინარე მტკვარი, ალაზანი, არაგვი, ცხენისწყალი.





კა უნდა ვიცოდეთ და როგორ უნდა მოვიქცეთ

წყალდიდობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ეპაჰზე



წყალდიდობაზე - მზადების უაზა

მნიშვნელოვანია რეაგირების ჯეროვნად შესასრულებლად

- მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღის მდებარეობის რისკებისა და საფრთხეების ჩამონათვალის გავკეთება;
- სპეციალიზებული სამსახურის მიერ დამზადებული შენობა-ნაგებობის სავაკუაციო გეგმა, რომელიც თვალსაჩინო ადგილას იქნება გამოკრული¹;
- წყალდიდობასთან დაკავშირებით წინასწარ განსაზღვრული შემადგენელი სავაკუაციო ადგილი (იმ შემთხვევაში თუ ამის ადრეული შეტყობინება გაქვთ და ასეთი ადგილიც არსებობს თქვენს პერიმეტრში);
- ალტერნატიულ ვარიანტად გამოდგება თავად შენობა-ნაგებობაში გამოყოფილი სივრცე, მაგალითად, შენობის სახურავი, ან შენობის ახლოს მდებარე მაღალი ნაგებობა;
- წინასწარ გამზადებული, ე.წ. პირველადი დახმარების ჩანთა რომელშიც დევს ევაკუაციის შემთხვევაში ნასაღები ძირითადი მედიკამენტები (ჩანთა იქონიეთ ადვილად და სწრაფად ხელმისაწვდომ ადგილას);
- მნიშვნელოვანია ტერიტორიის მუდმივი გასუფთავება ნაგვისგან, რათა არ მოხდეს ფოთლებისა და სხვა ნარჩენი მასალის აკუმულირება.



წყალდიდობის დროს - ჩეპიკების უაზა

შედეგიანობა მზაობის ფაზაზე დამოკიდებული. შესაბამისი ცნობიერების, ცოდნისა და უნარების გარდა, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური შედეგობა

- პირველ რიგში მნიშვნელოვანია დარეკოთ 112-ზე და გამოიყენოთ წინასწარ მოფიქრებული შიდა განგაშის სიგნალი;
- საბავშვო ბაღის ყველა კარ-ფანჯარა უნდა იყოს დახურული;
- ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი ცენტრალურ დონეზე უნდა იყოს გამორთული;
- თუ ევაკუაცია ვერ ხერხდება აუცილებელია წინასწარ შერჩეულ ამადლებულ ადგილას ასვლა, ხოლო თუ ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ შენობის ან დამხმარე ნაგებობის სახურავზე;

- სახურავზე ან ნებისმიერ ამაღლებულ ადგილზე ყოფნისას საჭიროა ე.წ. სამაშველო სიგნალის გამოყენება მაშველებისათვის, რომელიც დღის სინათლეზე იქნება ჭოხზე დამაგრებული ფერადი ნაჭერი, ხოლო დაბინდებულზე ნებისმიერი შუქ-სიგნალი (რომელიც ცხადია წინასწარ დევს სამაშველო ჩანთაში). დაელოდეთ მაშველებს.



წყალდიოზის შედეგ - ალგენითი ჭაზა

მთავარი ფუნქცია აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, თქვენი ჩართულობით შესაბამისი უფლებების ფარგლებში



- შენობაში დაბრუნება რეკომენდებულია საფრთხის სრულიად დასრულების შემდეგ;
- აუცილებელია შენობის განიავება. ელექტრო ხელსაწყოებისა და გაზის გამოყენება აკრძალულია შენობის განიავებამდე;
- გადაყარეთ დასველებული საკვები და დალიეთ მხოლოდ ბოთლის წყალი.



მენყეკი

მენყეკი არის სიმძიმის ძალის შედეგად ნიადაგის უეცარი მონყევეტა, მისი ფერდობის დახრის მიმართულებით გადაადგილება და ჩამონოლა/აკუმულირება. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მენყერის განვითარების ბუნებრივი და ხელოვნური-ადამიანის მიერ ხელშეწყობილი ფაქტორები. მაგალითად, ძლიერი წვიმის შედეგად აკუმულირებულმა უხვმა ნალექმა შესაძლებელია გამოიწვიოს მენყერის ჩამონოლა; ასევე, შესაძლებელია მიწისძვრა იქცეს მენყერის ჩამონოლის წინაპირობად; რაც შეეხება ადამიანის ქმედებით გამოწვეულ მენყერს, პირველ რიგში, ასეთი ქმედებაა ხეების გაჩეხვა. ამდენად, სხვადასხვა ბუნებრივ-სტიქიურ მოვლენებს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრიობა, რომელიც თავისი გეოგრაფიული გავრცელებითა და ხასიათით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ბუნებრივ კატასტროფად.

მენყერსაშიში ზონებია კახეთის 2 მონაკვეთი - აღმოსავლეთ კავკასიონი და გომბორის ქედი. არაგვის ხეობა მთლიანად ღვარცოფულ-მენყერულია, ასევე რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, სამეგრელოს ნაწილი - გორაკ-ბორცვიანი ზოლი, სამცხეს გარკვეული ნაწილი, დასავლეთ საქართველოში ამ კუთხით ერთ-ერთი უმთავრესი რეგიონი კი აჭარაა.



? **კა უნდა ვიცოდეთ და როგორ უნდა მოვიქცეთ მენუკთან დაკავშირებულ 2 მნიშვნელოვან ეპაზა**

მენუკამდე - მზადების უაზა

მნიშვნელოვანია რეაგირების ჯეროვნად შესასრულებლად

- ბალის ახლომდებარე მენუერსაშიში ზონის განსაზღვრა და ხეების დარგვა;
- სავაკუაციო გეგმა, რომელიც გამოკრული იქნება თვალსაჩინო ადგილას;
- გამზადებული სავაკუაციო ჩანთა;
- მენურის ნიშნების ცოდნა, როგორცაა კარ-ფანჯრის გაჭედვა, გზებზე ნაპრალების გაჩენა.

მენუკის ღკოს - კეპკიკების უაზა

შედეგიანობა მზაობის ფაზაზე დამოკიდებული. შესაბამისი ცნობიერების, ცოდნისა და უნარების გარდა, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მედეგობა

- დარეკეთ 112-ზე;
- მოემზადეთ ვაკუაციისთვის და სასწრაფოდ დატოვეთ შენობა თუ არის სწრაფი გადაადგილების საშუალება;
- აუცილებელია დენის, წყლის და ბუნებრივი აირის ცენტრალურ დონეზე გამორთვა და კარ-ფანჯარის მჭიდროდ დაკეტვა;
- ვაკუაციის შემთხვევაში წაიღეთ სამაშველო ჩანთა.

მენუკის შემდეგ - აღგენითი უაზა

მთავარი ფუნქცია აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, თქვენი ჩართულობით შესაბამისი უფლებების ფარგლებში

- მენურის ჩამონოლის შემდეგ არსებობს საფრთხე წყალდიდობის განვითარების, ამიტომ მნიშვნელოვანია შეტყობინების ყურადღებით მოსმენა და მზაობა;
- ფუნქციონირების განახლებაზე აუცილებელია შენობა-ნაგებობის კომპლექსური შემოწმება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დახმარებით.

ზვავი

ზვავი არის თოვლის მასა, რომელიც სწრაფი გადაადგილებით ჩამოწვება მთის ფერდობიდან. განასხვავებენ ორი ტიპის ზვავს სველსა და მშრალს, ანუ მშრალი/ფხვიერი და სველი თოვლისგან წარმოქმნილი ზვავი. ერთგვარად ამ მდგენელზე დამოკიდებულია მისი ძალისმიერება და შესაბამისი დამანგრეველი ეფექტიც. ზვავიც შესაძლებელია შედეგი იყოს გარკვეული ბუნებრივი თუ ანთროპოგენული ფაქტორული მიზეზებისა. ასე მაგალითად, ბუნებრივი პირობების შეთანწყობა – რელიეფი, მცენარეული საფარი, ფერდობებზე მოსული მყარი ატმოსფერული ნალექები, თოვლის დაგროვილი მასა და ა.შ.

თოვლის ზვავწარმოქმნელი/მაპროვოცირებელია სხვადასხვა მექანიკური ფაქტორები, მაგალითად აფეთქება ან თუნდაც ადამიანის გადაადგილება.

მოგესხნებათ საქართველო მაღალმთიანი ქვეყანაა და შესაბამისად ფართოა ზვავის გავრცელების გეოგრაფია. ყველაზე მონყვლადი ამ მხრივ გახლავთ აჭარის მაღალმთიანეთი; სვანეთი და სხვა.



? **კა უნდა ვიცოდეთ და როგორ უნდა მოვიქცეთ ზვავთან დაკავშირებულ სამ მნიშვნელოვან ეჭაპზე**



ზვავის ჩამონლაქე - მქაქეის ჴაზე

მნიშვნელოვანია რეაგირეების ჴეროვნად შესასრულებლად

- თუ ბადის შენობა-ნაგებობა მდებარეობს ჴვავსაშიშ ტერიტორიასთან ახლოს ყურადღებით იყავით ამინდის კომპონენტებთან დაკავშირებით: უხვი ნალექი, ძლიერი ქარი, ტემპერატურის სწრაფი მატება. ძირითადი აქტიური პერიოღია გაზაფხული და ჴაფხული;
- გამზადებული გქონდეთ სამაშველო/საევაკუაციო ჩანთა.



ზვავის ჩამონღის რკოს - რეპირეების ჴაზე

შედეგიანობა მზაობის ფაზაზე დამოკიდებული. შესაბამისი ცნობიერების, ცოდნისა და უნარების გარდა, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური შედეგობა

- დარეკეთ 112-ზე;
- დაუყოვნებლივ დატოვეთ სახიფათო ადგილი და გადაინაცვლეთ უფრო უსაფრთხო ადგილას;
- თუ თავად არ შეგიძლიათ დააღწიოთ თავი ჴვავს, მიიღეთ ჴორიზონტალური მდგომარეობა თავით ჴვავის მოძრაობის მიმართულებისაკენ;
- მოიხარეთ, მიადეთ მუხლები მუცელს და მჭიდროდ დაიჭირეთ ფეხები, ჴედმეტად არ იმოძრაოთ და არ იყვიროთ (მიიღეთ თოვლის გუნდის ფორმა).



ზვავის ჩამონღის შექეგ - აღგენითი ჴაზე

მთავარი ფუნქცია აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, თქვენი ჩართულობით შესაბამისი უფლებების ფარგლებში

- ჴვავის შემდეგ ყველა შემთხვევაში უნდა მიმართოთ ექიმს;
- ფუნქციონირების განახლებამდე აუცილებელია შენობა-ნაგებობის კომპლექსური შემონმება სპეციალური სამსახურების დახმარებით;
- სასურველია ბევრი ხე-მცენარის დარგვა მიმდებარე ტერიტორიაზე.

ქლივი ქაკი

ქარი არის ჰაერის მასების მოძრაობა, მას გააჩნია სიჩქარე და მიმართულება. ქარის სიძლიერე და შესაბამისად, მისი დამანგრეველი ეფექტი დამოკიდებულია ატმოსფერული წნევის ამპლიტუდაზე, რის შედეგადაც, ყალიბდება ძლიერი ქარი (ქარიშხალი, ქარბუქი, ქარბორბალა).

საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილსაც ახასიათებს ძლიერი ქარი. მას შეუძლია საგრძნობი მატერიალური ზიანი მიაყენოს მოსახლეობას. მოგლიჯოს ხეები, გაიტაცოს ნივთები, სახლები დააზიანოს, მოსავალი გაანადგუროს, ზღვაზე დიდი ტალღები წარმოქმნას და გამოიწვიოს სხვა მრავალი არასასურველი ეფექტი.



? **კა უნდა ვიცოდეთ და როგორ უნდა მოვიქცეთ ძლიერ ქაითან დაკავშირებულ სამ მნიშვნელოვან ეტაპზე**

ძლიერ ქაითან - მუდგების უბნ

მნიშვნელოვანია რეაგირების ჯეროვნად შესასრულებლად

- სამუშაო კვირის დასაწყისში გაცვანით კვირის ამინდის პროგნოზს და ნახეთ ხომ არ არის ძლიერი ქარი ნავარაუდები;
- ბადის ეზოში ყველა ნივთი საგულდაგულოდ დაამაგრეთ, ან შეიტანეთ შენობაში;
- გაამაგრეთ კარ-ფანჯარა;
- წინასწარ შეარჩიეთ თავის დასაცავი ადგილი (შენობაში სარდაფი, ან შუა ყრუ/უფანჯრო ოთახი).

ძლიერი ქაითან ღმოს - რეაგირების უბნ

შედეგიანობა მზაობის ფაზაზე დამოკიდებული. შესაბამისი ცნობიერების, ცოდნისა და უნარების გარდა, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური შედეგობა.

- შენობაში გამორთეთ დენი და ბუნებრივი აირი;
- მყარად ჩაკეტეთ კარ-ფანჯარა და მოშორდით მათ;
- შედით წინასწარ შერჩეულ ადგილას (სარდაფი, ან უფანჯრო ყრუ ოთახი) და იქ დაელოდეთ ქარის დასრულებას;
- თან იქონიეთ სამაშველო ჩანთა.

ძლიერი ქაითან უბნ - აღმართი უბნ

მთავარი ფუნქცია აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, თქვენი ჩართულობით შესაბამისი უფლებების ფარგლებში

- ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში თან წაიღეთ საევაკუაციო ჩანთა, დაემორჩილეთ წესებს და ისე გადაადით თავშესაფარში;
- აუცილებელია სპეციალისტების ან თქვენ მიერ შემონმდეს შენობა-ნაგებობა სიმყარეზე, შემონმდეს კარ-ფანჯარა და მხოლოდ მას მერე შეხვიდეთ შიგნით;
- ეზოში და გარე პერიმეტრზე მოერიდეთ ხეებს, ელექტროენერჯის ბოძს და სხვადასხვა საშიშ საგნებს.

გვაღვა



გვაღვა არის რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე, ნალექის გახანგრძლივებული სიმცირე. ასეთ დროს როგორც წესი ჰაერის ტემპერატურა ძალზედ მაღალია და შესაბამისად ცხელა გაუსაძლისად.

უნდა აღინიშნოს, რომ გვაღვა საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე შეიძლება ჩამოყალიბდეს, თუმცა ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა აღმოსავლეთ ნაწილი და კერძოდ ვახეთის მხარე. გვაღვა უპირველესად აზიანებს მცენარეებს და სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო კულტურას, საფრთხეს უქმნის ცხოველებისა და ფრინველების სიცოცხლეს. საშიშია ადამიანისთვისაც, თუ მან შესაბამისი ზომები არ მიიღო მისი ნეგატიური ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად. დასაცხვა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.



? **კა უნდა ვიცოდეთ და როგორ უნდა მოვიქცეთ გვადვასთან დაკავშირებულ სამ მნიშვნელოვან ეფაქტზე**

გვადვამდე - მზადების უაზა

მნიშვნელოვანია რეაგირების ჯეროვნად შესასრულებლად

- შენობა-ნაგებობაში იქონიეთ წყლის მარაგი და ის პერმანენტულად განაახლეთ, წყალი რაციონალურად ხარჯეთ;
- შენობა მოამზადეთ მოსალოდნელი სიცხის პირობებისთვის რელევანტურად, ფანჯრებისთვის იქონიეთ მზეგაუმტარი დამატებითი ჩამოსაფარებლები, ან გაუკეთეთ სპეციალური დარაბები;
- შენობა აღჭურვეთ გამაგრებელი ტექნიკით.

გვადვის დროს - ჩეპიკების უაზა

შედეგიანობა მზაობის ფაზაზე დამოკიდებული. შესაბამისი ცნობიერების, ცოდნისა და უნარების გარდა, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური შედეგობა

- დალიეთ ბევრი წყალი ნელ-ნელა;
- ჩაიცვით ღია ფერის სამოსი და თუ გარეთ გახვალთ აუცილებლად დაიხურეთ ქუდი;
- უმჯობესია დარჩეთ შენობაში, გრილ პირობებში;
- ძალიან ძლიერი გვალვის დროს, ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, შესაძლებელია ბალის დროებით დაკეტვა.

გვადვის შემდეგ - აღდგენითი უაზა

მთავარი ფუნქცია აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, თქვენი ჩართულობით შესაბამისი უფლებების ფარგლებში

- იმ შემთხვევაში თუ ვინმემ მზის დაკვრა მიიღო გამოიძახეთ სასწრაფო, სასწრაფოს მოსვლამდე კი გაუწიეთ პირველადი დახმარება;
- საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდით ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც დაგეხმარებათ თვისობრივად თუ ტექნიკურად აღდგენით სამუშაოებში.

სეტყვა

სეტყვა არის ატმოსფერული მყარი ნალექი, ანუ ნალექი რომელიც შედგება ყინულის სხვადასხვა ზომის ნატეხებისგან. სეტყვა უმეტესად თბილ პერიოდებში მოდის და ყალიბდება გროვა წვიმის ღრუბლებში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის სეტყვა ძალიან დამახასიათებელი მოვლენაა, რომელიც აზიანებს სასოფლო სამეურნეო სავარგულებს და მოსახლეობაში წარმოქმნის მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემებს. სეტყვის მიმართ განსაკუთრებით მონყვლადია კახეთის მხარე.



? **კა უნდა ვიცოდეთ და როგორ უნდა მოვიქცეთ სიჩვიასთან დაკავშირებულ სამ მნიშვნელოვან ეფაქტზე**

სიჩვიამდე - მზადების უაზა

მნიშვნელოვანია რეაგირების ჯეროვნად შესასრულებლად

- წინასწარ განსაზღვრეთ სექციის რისკები და შესაბამისად იქონიეთ მზაობა;
- შესაძლებელია შენობის დაცვითი დამატებითი აღჭურვილობა, ჟალუზები და სხვა;
- წინასწარ შეგიძლიათ ეზოში რაიმე ტიპის დამატებითი სათამაშო გადახურული ნაგებობა გააკეთოთ, რომელსაც თავშესაფრად გამოიყენებთ;
- მზად იქონიეთ სამაშველო ჩანთა.

სიჩვიის დროს - ჩეპიკების უაზა

შედეგიანობა მზაობის ფაზაზე დამოკიდებული. შესაბამისი ცნობიერების, ცოდნისა და უნარების გარდა, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მედეგობა

- არ დატოვოთ შენობა, კარგად ჩაკეტეთ კარ-ფანჯარა და დაელოდეთ დასრულებას;
- სასურველია შენობაში ყოფნის დროს შუა/ყრუ ოთახში გაჩერდეთ, რომ თუ ე.წ. ჟალუზები არ გაქვთ, არ შემოამტვრიოს სექცივამ ფანჯრები;
- თუ სექცივამ ეზოში მოგისწროთ სასწრაფოდ შედით რაიმე ტიპის შენობაში, ან რაიმე მყარი საგანი დაიდეთ თავზე, მოერიდეთ ელექტრობოძებს და ხეებს.

სიჩვიის შემდეგ - აღგენითი უაზა

მთავარი ფუნქცია აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, თქვენი ჩართულობით შესაბამისი უფლებების ფარგლებში

- თუ ევაკუაცია მოგინიათ, თან წაიღეთ სამაშველო ჩანთა;
- საგულდაგულოდ შეამოწმეთ შენობა-ნაგებობა და მასში დენისა თუ ბუნებრივი აირის წყაროების გამართულობა;
- შეატყობინეთ 112-ს და ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ აღდგენის ფაზაში დახმარება გაგინიონ, ცხადია თუ საჭირო იქნება.

ღვარცოფი




ღვარცოფი არის მდინარის კალაპოტში ე.წ. ქვა-ღორღიანი და ქვა-ტალახიანი დიდი მასის წარმოქმნა და გადაადგილება, რომელიც უეცრად ჩნდება მთის მდინარეების კალაპოტებში. მისი წარმოქმნის მიზეზი ინტენსიური წვიმებია, თუმცა შესაძლებელია ხანმოკლე ძლიერმა თავსხმა წვიმამაც გამოიწვიოს.

ღვარცოფის დროს მდინარეში მოდის: ქვა, ღორღი, ხეები, სხვადასხვა მყარი მასალა, მთის ნაშალი მასა. (თუ დროსა და სივრცეში, წყალდიდობა და მენყერი ერთად განვითარდა და მენყრულმა მასამ მიაღწია მდინარის კალაპოტამდე შესაძლებელია წარმოიქმნას ღვარცოფი).

როგორც წესი წინასწარ ცნობილია ღვარცოფსაშიში ადგილები და ამიტომ წინასწარ ხდება იმ ლოკაციების ხელოვნური ჯებირებით გამაგრება, ან სხვა ტიპის ნაპისანმაგრი საშუალების ჩატარება. XX საუკუნის ბოლოსათვის საქართველოში დაფიქსირებულია 2750 ღვარცოფ-ტრანსფორმირებადი მდინარის აუზი. ღვარცოფული საშიშროების ზონაში აღმოჩნდა ქვეყნის მთელი ტერიტორიის 2 მლნ. ჰა; ღვარცოფული პროცესები ემუქრება რკინიგზებსა (300 კმ-ზე) და საავტომობილო გზებს (1500 კმ-ზე); ამ ნაკადების მოქმედებას პერიოდულად მწყობრიდან გამოჰყავს საირიგაციო ობიექტები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები; დიდ საშიშროებას უქმნის ქალაქებს და დაბებს - თბილისს, თელავს, ყვარელს, ლაგოდეხს, საგარეჯოს, ბორჯომს, ლენტეხს, ონს, ცაგერს, მესტიას, ახალციხეს, ადიგენს, მცხეთასა და ასეულობით სასოფლო დასახლებას. ქვეყნისადმი ღვარცოფებით მიყენებული ყოველწლიური ზარალი საშუალოდ 100-120 მლნ. დოლარით განისაზღვრება.

კონკრეტული ბუნებრივი სტიქიური მოვლენის სიმძიმედან გამომდინარე განისაზღვრება ევაკუაციის გეგმის გამოყენება, ანუ ევაკუაციის განხორციელება. თუმცა ერთმნიშვნელოვნად აუცილებელია, რომ შენობა-ნაგებობაში მუდმივად თვალსაჩინო ადგილებზე იყოს გამოკრული შენობის დეტალური სევაკუაციო გეგმა.



? **კა უნდა ვიცოდეთ და როგორ უნდა მოვიქცეთ ლჰაკოშთან დაკავშირებულ სამ მნიშვნელოვან ეგაჰზე**

ლჰაკოშამდე - მჰადების უაჰა

მნიშვნელოვანია რეაგირების ჰეროვნად შესასრულებლად

- წინასწარ მოიძიეთ ინფორმაცია, არის თუ არა და სადაა ღვარცოფის რისკი თქვენს ობიექტთან;
- იქონიეთ სამაშველო/საგანგებო სიტუაციების ჩანთა;
- თუ არსებობს ადრეული შეტყობინება და გეგმავთ ევაკუაციას, მაშინ გამორთეთ ბუნებრივი აირი და დენი.





ღვაკსოჟის ღკოს - კიკიკიკის ჟიზი

შედეგიანობი მზიობის ფიზიზი დამოკიდებული. შესიბამისი ცნობიერების, ცოდნისი დი უნარების გარდი, მნიშვნელოვანიი ფსიქოლოგიური შედეგობი


- დარეკეთ 112-ზე;
- წინასწარ დიდგენილი სიევიკუციო გეგმის მიხედვით, ეციადეთ განიხორციელოთ ევიკუციი უსიფრთხო ადგილას ან დიელოდეთ მისეველებს შემადლებულ ადგილზე;
- გიხსოვდეთ, დვარცოდში მოყოლილი ადამიანის გიდარჩენი თითქმის შეუძლებელიი.




ღვაკსოჟის შემდეგ - ალგენიტი ჟიზი

მთივარი ფუნქციი აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, თქვენი ჩართულობით შესიბამისი უფლებების ფარგლებში

- თქვენი კომპეტენციის ფარგლებში დიეხმარეთ დიბარალელებს დი გიუნით პირველადი დიხმარები, მისეველების მოსვლამდე;
- შენობის ფუნქციონირების განიხლება დისიშვებიი მხოლოდ სპეციილისტების მიერ შენობის შემონმების შემდეგ.



კატასტროფის მართვის უაზები და ძირითადი გეგმინები



ჩეპიჩეპე

კატასტროფის დროს ან როგორც კი კატასტროფა მოხდება გადაუდებელი დახმარების განწევა და სახელმწიფოს მხარდაჭერა ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის, მათი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემცირობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის და დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველადი მოთხოვნებილების დაკმაყოფილების მიზნით.

აღგენე

კატასტროფის შედეგად დაზარალებული საზოგადოებისთვის დამხმარე საშუალებების და ობიექტების, საარსებო საშუალებების და საცხოვრებელი პირობების აღდგენა და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება, რაც ასევე მოიცავს კატასტროფის რისკის ფაქტორების შესამცირობელ ძალისხმევას.

მიზიგაცია

მიტიგაცია (შერბილება) საფრთხეებისა და მათთან დაკავშირებული კატასტროფების უარყოფითი ზემოქმედების შემცირების ან შეზღუდვის ღონისძიებებს მოიცავს. ხშირ შემთხვევაში, ვერ ხერხდება საფრთხეების უარყოფითი შედეგების თავიდან სრულად აცილება, თუმცა სხვადასხვა ქმედების მეშვეობით შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს მათი მასშტაბები და სიმძაფრე.

პრევენცია

პრევენცია საფრთხეებისა და მათთან დაკავშირებული კატასტროფების უარყოფითი შედეგების სრული აცილებაა. ტერმინი „პრევენცია“ გამოხატავს კონცეფციასა და განზრახვას, რაც წინასწარ გატარებული ღონისძიებებით პოტენციური უარყოფითი გავლენის თავიდან აცილებას გულისხმობს.

მზადება

სამთავრობო სტრუქტურების, რეაგირების და აღდგენის საკითხებში სპეციალიზებული ორგანიზაციების, თემებისა და ცალკეული პირების მიერ ცოდნის შექმნა და შესაძლებლობების განვითარება, რათა ეფექტიანად განხორციელდეს მოსალოდნელი, მოახლოებული ან უკვე გამოვლენილი სახიფათო მოვლენების ან გარემოებების წინასწარ განსაზღვრა, მათზე რეაგირება და შემდგომი აღდგენა.

საგანგებო სიზუსტე

თემის ან საზოგადოების ფუნქციონირების მნიშვნელოვანი მოშლა, რომელიც მოიცავს ფართომასშტაბიან ადამიანურ, მატერიალურ, ეკონომიკურ ან ეკოლოგიურ დანაკარგებს ან/და ზეგავლენას, რომელიც აღემატება დაზარალებული თემის ან საზოგადოების საკუთარი რესურსებით გამკლავების უნარს.

კისკი

მოვლენის ალბათობისა და მისი უარყოფითი შედეგების კომბინაცია.

საჭიბი

სახიფათო მოვლენა, ნივთიერება, ადამიანის ქმედება ან ვითარება, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის დაზიანება, დაავადება ან ჯანმრთელობის გაუარესება, ქონებრივი ზარალი, საარსებო წყაროს დაკარგვა და მომსახურების სფეროს მოშლა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების რღვევა და გარემოს დაზიანება.

კაზასკოვა

იმ მასშტაბების სტიქიური მოვლენა დროსა და სივრცეში, რომელიც თემის ან საზოგადოების ფუნქციონირების მნიშვნელოვან მოშლას იწვევს, გულისხმობს დიდი მოცულობით ადამიანურ, მატერიალურ, ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ დანაკარგებს, რომელიც აღემატება დაზარალებული თემის ან საზოგადოების საკუთარი რესურსებით გამკლავების უნარს და შესაძლებლობას.

მონყვლადობა

მონყვლადობა განისაზღვრება როგორც თემის, სისტემის ან ქონების ისეთი მახასიათებლები და გარემოებები, რომლებიც განაპირობებენ მათ დაუცველობას საფრთხის საზიანო ზემოქმედებისგან. მონყვლადობის მრავალი ასპექტი არსებობს, რომლებიც განპირობებულია მატერიალური, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორებით.

საევაკუაციო გეგმა

საევაკუაციო გეგმას ადგენს ან შეიმუშავებს საგანგებო სიტუაციების ადგილობრივი სამსახური. საევაკუაციო გეგმაზე გამოსახულია: კიბის უჭრედები, ლიფტები და ლიფტის მიმდებარე ჰოლი, ოთახები, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო სათავსოები, დერეფნები, აივნები, გარე კიბეები, ასევე, კიბის უჭრედის, ლიფტის მიმდებარე ჰოლისა და ევაკუაციის გზაზე მდებარე ყველა კარი. სათავსოების დასახელებები დატანილი უნდა იყოს უშუალოდ სართულის გეგმაზე ან ისინი უნდა დაინომროს და ნახაზის მარჯვენა კუთხეში მოხდეს მათი ექსპლიკაცია; კარი ნაჩვენები უნდა იყოს ღია მდგომარეობაში.

იმ შემთხვევაში, თუ ზოგიერთი გამოსასვლელი ექსპლუატაციის პროცესში ჩარაზულია, მაშინ საევაკუაციო გეგმაზე კარის ღობეები ნაჩვენები უნდა იყოს დახურულ მდგომარეობაში. ხოლო გასაღების შენახვის ადგილი უნდა იყოს აღნიშნული შემდეგი სახის წარწერით - „ყუთი გარე კარის გასაღებით“. თუ შენობა აღჭურვილია გარე სახანძრო კიბით, მაშინ საევაკუაციო გეგმაზე უნდა იყოს დატანილი წარწერა „სახანძრო კიბისაკენ გასასვლელი“. სართულის საევაკუაციო გეგმაზე ევაკუაციის ძირითადი გზები უნდა იყოს დატანილი მთლიანი მწვანე ფერის ხაზებით, ხოლო სათადარიგო საევაკუაციო გზა - მწვანე ფერის პუნქტირით (წყვეტილი ხაზით). ეს ხაზები უნდა იყოს ორჯერ უფრო სქელი, ვიდრე შენობის ნახაზის ხაზები; ძირითადი საევაკუაციო გზები მიმართული უნდა იყოს გარე გასასვლელის მქონე კიბის უჭრედებისაკენ, ასევე, იმ კიბეებისაკენ, რომლებსაც პირველი სართულისაკენ მივყავართ. თუ ორი კიბის უჭრედი თანაბარმნიშვნელოვანია ცეცხლისა და კვამლისაგან დაცულობის თვალსაზრისით, მაშინ ძირითადი საევაკუაციო ხაზი მიმართული უნდა იყოს უახლოესი კიბის უჭრედისაკენ. საევაკუაციო გზების ხაზები უნდა გამოდიოდეს თითოეული სათავსოდან (ოთახიდან) და უნდა მთავრდებოდეს უსაფრთხო ადგილის გასასვლელზე ან უშუალოდ შენობის გარეთ.

საევაკუაციო ვექტორები არ უნდა კვეთდნენ ერთმანეთს და უნდა უზრუნველყოფდნენ თანაბარი ოდენობის პირთა გატარებას დროის უმცირეს პერიოდში. სართულის გეგმაზე სპეციალური სიმბოლოების გამოყენებით დაითანება სახანძრო განგაშის შემატყობინებელი ღილაკების, ტელეფონების, სახანძრო ონკანების, ცეცხლმაქრობების განთავსების ადგილები. ზემოაღნიშნული სიმბოლოები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. სიმბოლოები დატანილი უნდა იქნეს მკაფიოდ. სიმბოლოთა განსაზღვრებები დატანილი უნდა იქნეს საევაკუაციო გეგმის ქვეშ ქართულ და ინგლისურ ენებზე. ტექსტის ასოების სიმაღლე უნდა იყოს არაუმცირეს 7 მმ-ისა, ხოლო სიგანე - 5 მმ-ისა. საევაკუაციო გეგმის გრაფიკულ ნაწილში მითითებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის, ორგანიზაციის ხელმძღვანელის, მორიგე პერსონალისა და დაცვის სამსახურის ტელეფონის ნომრები და სპეციალური აღნიშვნების (სიმბოლოების) ექსპლიკაცია. სართულის გეგმა არ უნდა იყოს გადატვირთული ზედმეტი დეტალებით. საევაკუაციო გეგმის გრაფიკული ნაწილის ზომები ტოლი უნდა იყოს 297x420 მმ-ის;

საევაკუაციო გეგმა მოქმედებს საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში შენობის დაუყოვნებლივ დატოვების აუცილებლობისას.

აქტივობები

N1 აქტივობა

მინისძვრა „სეისმოგრაფი“

საჭირო მასალა:

მუყაოს კოლოფი, ერთჯერადი ჭიქა, სკოჩი, ძაფი/თოკი, ფლომასტერი, ფურცელი.

აქტივობის განხორციელების ეტაპები:

ერთჯერადი ჭიქის ძირში ბავშვები აკეთებენ პატარა ნახვრეტს და უყრიან ფლომასტერს ისე, რომ მისი წვერი იყოს ჭიქის ძირს ოდნავ დაცილებული. ჭიქას ძაფის/თოკის საშუალებით კიდებენ კოლოფის ერთ-ერთ გვერდზე. ჭიქა უნდა ეკიდოს სწორად. ფლომასტერის წვერის ქვეშ ათავსებენ ფურცელს.

სამ მოსწავლეს დაავალეთ შემდეგი მოქმედებების განხორციელება: სთხოვეთ ერთ-ერთ მოსწავლეს ჯერ ნელა და შემდეგ უფრო ძლიერად შეარყიოს მაგიდა დაახლოებით 20-30 წამის განმავლობაში. ამით მოსწავლე მინისძვრის სიმულაციას წარმოადგენს. მეორე მოსწავლემ თანაბარი მოძრაობით გამონიოს ფლომასტერის ქვეშ მოთავსებული ქაღალდის გრძელი ლენტი. მესამე მოსწავლე ტაშის თანაბარი დაკვრით (ამ დროს თქვენ ხმამაღლა ითვლით 20-30-მდე) მინისძვრის მოქმედების ხანგრძლივობას განასახიერებს.

ჩაუბრუნეთ:

„მინისძვრის დასრულების“ შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს გაანალიზონ სეისმოგრაფის ლენტაზე აღნიშნული მინისძვრის „კარდიოგრამა“. მოსწავლეებმა უნდა აღწერონ მაგიდის სუსტად და ძლიერად რყევის შემთხვევებში, როგორ იხაზებოდა ფურცელზე ტეხილი ხაზები.



წყადდიდობა „ევაკუაცია წყადდიდობის დროს“

საჭირო მასალა:

ფარანი, ელემენტები, წყლის ბოთლი, ორცხობილას შეკვრა, რადიო, ტელეფონი, თოკი, ფურცელი, ვალამი, სათამაშოები, წიგნები, ზურგჩანთა, პირველადი საჭიროების ნამლები - იოდი, სპირტი, ბამბა, სახვევი დოლბანდი; ფანქრები, რვეულები, საფულე და ა.შ.

აქვიზობის განხორციელების ევაკუაბი:

მაგიდაზე დაალაგეთ თქვენს მიერ შეგროვებული ნივთები. ბავშვებს სთხოვეთ წარმოიდგინონ წყალდიდობის შემთხვევაში, თუ რომელ ნივთებს წაიღებდნენ დროებით თავშესაფარში. რომელი ნივთები იქნება მათთვის აუცილებელი და რატომ? რომელ ნივთებს დაამატებდნენ? ერთად იმსჯელეთ, თითოეულ ნივთს რაში გამოიყენებდნენ და რომელია მართლაც აუცილებელი ევაკუაციის დროს.



ღვარცოფი „ღვარცოფისგან თაჰის დაღწევა“

აქტივობის განხორციელების ეტაპები:

გააცანით ბავშვებს ღვარცოფის დროს უსაფრთხო ქცევის წესები. სთხოვეთ მოიფიქრონ, თუ სად შეაფარებდნენ თავს ღვარცოფის დროს (სახლში ან გარეთ ყოფნის დროს)? გაითამაშეთ სცენა ოთახში და გარეთ, ეზოში ყოფნის შემთხვევაში მოქმედების წესები.

პირველ შემთხვევაში, როდესაც ბავშვები უნდა ავიდნენ მაღალ სართულზე, როგორ უნდა დატოვონ ოთახი - გამორთონ ელექტრო ხელსაწყოები, ორგანიზებულად გავიდნენ ოთახიდან და ა.შ. მეორე შემთხვევაში, ბავშვებმა ეზოში უნდა იპოვონ შემალღებელი ადგილი და იქ ავიდნენ. ასწავლეთ ბავშვებს, რომ ნამდვილი ღვარცოფის დროსაც თავი ამაღლებულ ადგილს უნდა შეაფარონ.

ჩუქმაღლა:

სთხოვეთ ბავშვებს იმსჯელონ, თუ რატომ არის აუცილებელი რომ მათ იცოდნენ უსაფრთხო ქცევის წესები? რაში დაეხმარებათ მათ ეს ცოდნა?



მეწყეი „ღავკოთ ხეები, რომ არ წაიშოიქმნას მეწყეი“

საჭირო მასალა:

ხის ნერგები, ნიჩბები.

აქტივობის განხორციელების ეტაპები:

აუხსენით ბავშვებს, თუ როგორ საშიშროებას წარმოადგენს მეწყერი, რატომ წარმოიქმნება და როგორ შეიძლება მეწყერი თავიდან ავიცილოთ. რატომ არის აუცილებელი მთის ფერდობებზე ხეების გაშენება, ტყეების მოვლა და ა.შ.

ამ აქტივობის განხორციელება უკეთესია შემოდგომით ან გაზაფხულზე. გაიყვანეთ ბავშვები გარეთ და დარგეთ რამდენიმე ნერგი საბავშვო ბაღის ეზოში. სთხოვეთ ბავშვებს დახატონ მათ მიერ განხორციელებული აქტივობა - „მე ვრგავ ხეებს, რომ არ წარმოიქმნას მეწყერი“.



საჭირო მასალა:

კონტეინერი, თოვლი ან ხელოვნური თოვლი/ბამბა, მუყაო, ფერადი ფანქრები, მაკრატელი, ნებო, პატარა სათამაშო ფიგურები: მანქანები, სახლები, თოჯინები და სხვ.

აქტივობის განხორციელების ეტაპები:

აქტივობის ჩატარება ხდებოდა მამთარში, თოვლიან ამინდშია რეკომენდებული. აღსაზრდელებს მიანოდეთ ინფორმაცია ზვავის წარმოქმნის შესახებ და ასწავლეთ ბავშვებს ზვავის დროს უსაფრთხო ადგილის შერჩევა.

ბავშვებთან ერთად დაამზადეთ ზვავის მაფრთხილებელი ნიშნები. სთხოვეთ ბავშვებს თოვლისგან გააკეთონ მთიანი რელიეფი და სათამაშო ფიგურებით ითამაშონ. დაეხმარეთ ბავშვებს, „ზვავსაშიშ მონებში“ მაფრთხილებელი ნიშნების განთავსებაში.

ჩუქრები:

იმსჯელეთ ბავშვებთან ერთად, თუ რატომ მოხდა მაფრთხილებელი ნიშნების კონკრეტულ ადგილებში განთავსება.




როცა სეტყვა მოდის,
 ზეცა იქუფრება,
 – ნახეთ, რა გიქნათო!
 თითქოს იმუქრება.
 მართლა საშიშია,
 გარეთ დახვდი თუკი,
 კრამიტებზე ისმის
 მისი რაკარუკი.
 თან რა ლამაზია,
 ქათქათა და ბროლა,
 ზოგი – მძივისტოლა,
 ზოგიც – მუშტისტოლა.
 დავიშვიშებს ბებო,
 ბაბუს მოსდის ბრაზი
 – რა დროს ეს იყოლო,
 ნახდებო ვაზი.
 ვარგი საქმეც იცის,
 ვაკლის ჩამობერტყვა,
 აი ასეთია
 ჩვენი სოფლის სეტყვა.²





ჩაუღებსია:

ნაუკითხვით ბავშვებს ღებსი და თხოვეთ მიაქციონ ყურადღება სეტყვის დადებით და უარყოფით მხარეებს. გამოიყენეთ სურათები და ილუსტრაციები. რატომ არის საშიში სეტყვა, რას აზიანებს? რა სიკვითის მოტანა შეუძლია სეტყვას? მიეცით საშუალება ბავშვებს თავისუფლად გამოთქვან საკუთარი ვარაუდები. ღებსის და საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ბავშვებმა აღწერონ სეტყვის ფიზიკური მახასიათებლები. გამოთქვან ვარაუდი, თუ რად შეიძლება სეტყვა გადაიქცეს?



საჭირო მასალა:

ორი ხის ჯოხი/ჩხირი (დაახლოებით 90 და 60 სმ სიგრძის), წებო/სკოჩი, ქაღალდი/პოლიეთილენის პარკი, ძაფი/თოკი, ფრანის მოსახატად და გასათორმებლად: ფერადი ფანქრები და ფლომასტერები, ბაფთები, თასმები და მაკრატელი.



აქტივობის განხორციელების ეტაპები:

აიღეთ ორი ჩხირი და ერთმანეთზე დაადეთ, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. გრძელი ჩხირი მესამედზე გადაიკვეთება, მოკლე კი შუა ნაწილით უნდა მიემაროს. ჩხირების ბოლოებზე ძაფი შემოავლეთ, ისე რომ ჩარჩო შეიკრას. ჩარჩო ქაღალდზე/პოლიეთილენზე დადეთ და კონტური შემოავლეთ. გამოჭერით და სკოჩით/წებოთი ჩარჩოზე დაამარეთ. შეამოწმეთ, რომ ქაღალდი/პოლიეთილენი ფრანის ყველა მხარეს იყოს კარგად მიმაგრებული. შემდეგ მარყუჟი გააკეთეთ, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. მორთეთ და გაათვრადეთ ფრანი.

ჩუქმაქცია:

ბავშვებს სთხოვეთ დააკვირდნენ ფრანის მოძრაობას. როდის ადის მაღლა და ჩამოდის დაბლა? რაზე დამოკიდებულია ფრანის ასეთი მოძრაობა? ერთად იმსჯელეთ და გამოიტანეთ დასკვნები.

საჭირო მასალა:

გამჭვირვალე მინის 2-3 ჭიქა; შავი, თეთრი და ფერადი ქაღალდები; წყლის თერმომეტრი.

აქტივობის განხორციელების ეგაჰები:

ბავშვებთან ერთად მინის ორ ჭიქაში (რაოდენობაში არ ხართ შეზღუდული) ერთნაირი რაოდენობის წყალი ჩაასხით. ჭიქებს გარედან შემოახვიეთ თეთრი და შავი ფერის ქაღალდი (შესაძლებელია დამატებით სხვა ფერის ქაღალდი შემოაკრათ სხვა ჭიქებსაც). დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ჭიქები მზეზე დადეთ. მიეცით ბავშვებს წყლის თერმომეტრი, და სთხოვეთ მათ გაზომონ თითოეულ ჭიქაში წყლის ტემპერატურა.

ჩაუდამსია:

ბავშვებს სთხოვეთ მიღებული შედეგების გაანალიზება. რატომ არის ორივე ჭიქაში სხვადასხვა წყლის ტემპერატურა. რამ გამოიწვია ასეთი შედეგი? აუხსენით ბავშვებს, რომ მუქი ფერი მეტად აცხელებს, ღია ფერი კი, პირიქით მეტად იცავს სიცხისგან. ამიტომ ზაფხულში, სიცხის დროს უნდა ატარონ ღია ფერის ტანსაცმელი და ქუდები.





მდ. პზივი-კორეი

მდ. ენგუი

მდ. ხოზინწყალი

მდ. კიონი

მდ. სუზა

მდ. ნაგანა

მდ. კინკი

მდ. ჭორონი-აჭაინწყალი



მრ.თეჩვი

მრ.პიტიუთა
აღაზანი

მრ.მგვიანი

მრ.აღაზანი

მრ.ხაჯაბი-ჭიბი

მრ.იორი

